

საქართველოს კანონი

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995, NN27-30, მუხ. 575) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დასაშვებად პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება ხორციელდება შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი